საქართველო მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულო

GEORGIA MARNEULI MUNICIPALITY REPRESENTATIVE BODY

# მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომის

# ო ქ მ ი N13

ქ. მარნეული 31.07.2015 წ.

სხდომას ესწრებოდნენ:

ბიუროს წევრები: - ვალერი მეტრეველი, ამირან გიორგაძე, ირაკლი ბურნაძე, რაგიმ ასკეროვი, გიორგი შუკაკიძე, კოტე ბოჭოიძე, ვალი ისმაილოვი, რაფიკ მუსაევი, ქამილ ალიევი.

არ ესწრებოდნენ ბიუროს წევრები: - ნაბი აბდულაევი, ვანო ბურნაძე, ნიკოლოზ გოგოჭური, რიჩარდ გიგანი, აბიდ ოსმანოვი.

ასევე დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვაში მონაწილეობას იღებდნენ: მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებელი მერაბ თოფჩიშვილი, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველი მოადგილე ზაურ ტაბატაძე, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი ვუგარ მამედოვი, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსმა ტარიელ მუსაევი, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი ნინო ბერიძე.

## განსახილველი საკითხების
## დღის წესრიგი:

1. ,,მარნეულის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N45 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.
2. ,,მარნეულის მუნიციპალიტეტის 2015 წლის სახელმწიფო გეგმის დამტკიცების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 18 ნოემბრის N250 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.
3. მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამშრომელთა თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ.
4. მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, ქალაქ მარნეულის მაჟორიტარი დეპუტატის რაგიმ ასკეროვის განცხადების განხილვის შესახებ.
5. ქალაქ მარნეულში მცხოვრები თემური ბახტურიძის განცხადების განხილვის შესახებ.
6. მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ ხოჯორნში მცხოვრები არსენ ახვერდიანის განცხადების (რეგ. N518/05. 10.07.2015 წ) განხილვის შესახებ.

7. „მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოსათვის საწვავისა და სასაუბრო ბარათების ლიმიტის დაწესების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 ივნისის N85 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.
8. მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის ანგარიშის მოსმენის შესახებ.
9. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსის 2015 წლის 30 ივნისის N1282-03 მოხსენებითი ბარათის განხილვის შესახებ.
10. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსის 2015 წლის 17 ივლისის N1577-03 მოხსენებითი ბარათის განხილვის შესახებ.
11. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსის 2015 წლის 17 ივლისის N1578-03 მოხსენებითი ბარათის განხილვის შესახებ.
12. ქალაქ მარნეულში, რუსთაველის ქუჩა N58-ში მცხოვრებ ფარმაილ ალიევის განცხადების (რეგ. N477/05. 07.07.2015 წ) განხილვის შესახებ.
13. მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 4 აგვისტოს N188 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.
14. მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის ანგარიშის მოსმენის შესახებ.
15. სოციალური საკითხები.
16. „მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის გამარტივებულ შესყიდვაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 6 ივლისის N114 განკარგულების გაუქმების შესახებ.

## განხილული საკითხები და მიღებული გადაწყვეტილებები:

იმის გათვალისწინებით, რომ სხდომას არ ესწრებოდა მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ნაბი აბდულაევი, სხდომას თავმჯდომარეობდა მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ვალერი მეტრეველი.

1. დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა ვუგარ მამედოვმა ბიუროს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა „მარნეულის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N45 დადგენილებაში შესატანი ცვლილების პროექტი, რაც გამოწვეულია იმით, რომ მარნეულის მუნიციპალიტეტის 2015წლის ადგილობრივ ბიუჯეტში დაფიქსირებულმა გამოთავისუფლებულმა სახსრებმა შეადგინა 822.0 ათ. ლარი, აქედან 322.0 ათ. ლარით შემცირდა „სპორტული ობიექტების მოწყობა, რეაბილიტაციის“ „არაფინანსური აქტივების ზრდა“, ხოლო 500.0 ათ.ლარით გაიზარდა შემოსავლები, კერძოდ: გადასახადები – 40,0 ათ.ლარი,მ.შ. გადასახადი საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) – 40,0 ათ.ლარი. სხვა შემოსავლები – 460,0 ათ. ლარი, მ.შ. პროცენტები – 30,0 ათ.ლარი. მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის – 20,0 ათ.ლარი. შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან – 10,0 ათ.ლარი. ჯარიმები, სანქციები და საურავები – 400,0 ათ.ლარი. აღნიშნული თანხა მუხლობრივად დამატებული იქნა: შრომის ანაზღაურება 130,0 ათ.ლარი – მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულო 620,0 ათ.ლარი – მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობა 39,0 ათ.ლარი – ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა საქონელი და მომსახურება 31,0 ათ.ლარი – მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობა ვალდებულებების კლება 1,0 ათ.ლარი – მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობა 1,0 ათ.ლარი – ავადმყოფთა სოციალური დაცვა. ამრიგად, მარნეულის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტით როგორც

შემოსულობების, ასევე გადასახდელების ნაწილი განისაზღვრა 28205.3 ათ.ლარით. მიღებული იქნა გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე.

2. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა ვუგარ მამედოვმა ბიუროს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა „მარნეულის მუნიციპალიტეტის 2015 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის დამტკიცების შესახებ" მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 18 ნოემბრის N250 განკარგულებაში შესატანი ცვლილების პროექტი, რაც გამოწვეულია 2015 წლის ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილებით, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიღებული იქნა გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე.

3. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მესამე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭორიძემ ბიუროს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამშრომლებისათვის სახელფასო განაკვეთების დამტკიცების შესახებ. მიღებული იქნა გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე.

4. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეოთხე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭორიძემ ბიუროს წევრებს გააცნო ქალაქ მარნეულის მაჟორიტარი დეპუტატის რაგიმ ასკეროვის განცხადება, რომელიც ითხოვს ქალაქ მარნეულში მდებარე მეჩეთების მიერ მოხმარებული ელენერგიის დავალიანების დაფარვას. ერთი მეჩეთი - 344 ლარი და 05 თეთრი და მეორე მეჩეთი - 30 ლარი და 36 თეთრი, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიღებული იქნა გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე.

5. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეხუთე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭორიძემ ბიუროს წევრებს გააცნო ქალაქ მარნეულში ყოფილი სამხედრო ქალაქის ტერიტორიაზე მცხოვრები თემური ბახტურიძის განცხადება, რომელიც ითხოვს ბუნებრივი აირის დავალიანების 429 ლარისა და 40 თეთრის დაფარვას. არის დევნილი, ყავს მცირეწლოვანი შვილი და განიცდის ფინანსურ გაჭირვებას, გამოითქვა აზრი, რომ ბუნებრივი აირის დავალიანების დაფარვა არ ფინანსდება ბიუჯეტიდა, რის გამოც მოქალაქე თემურ ბახტურიძის თხოვნა ვერ დაკმაყოფილდება, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიღებული იქნა გადაწყვეტილება საკითხი ამოღებული იქნეს მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგიდან.

6. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეექვსე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭორიძემ ბიუროს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის არსენ ახვერდიანის განცხადება, იმის შესახებ, რომ მისმა შვილმა გიორგი ახვერდიანმა დაიკავა პირველი ადგილი საკვალიფიკაციო ტურნირში, 14 წლამდე ასაკის ჭაბუკთა შორის, მარნეულის თასის გათამაშებაში და ითხოვს ფინანსურ წახალისებას. აღინიშნა, რომ ოჯახს ხანძრის შედეგად დაეწვა სახლი და მუნიციპალიტეტმა ვერ შეძლო ამ ოჯახს დახმარებოდა ფინანსურად. გამოითქვა აზრი, რომ მოხდეს არსენ ახვერდიანის შვილის, გიორგი ახვერდიანის ფინანსური წახალისება, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიღებული იქნა გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე.

7. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეშვიდე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭორიძემ ბიუროს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამშრომლებისათვის დაწესებულ საწვავისა და სასაუბრო ბარათების ლიმიტში შესატანი ცვლილება, რაც გამოწვეულია იმით, რომ შედის ცვლილება მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ლიმიტებში და უწესდება საწვავის ლიმიტი მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროს სპეციალისტს როენა ახობაძეს 50 ლიტრი, ხოლო 20 ლარის სასაუბრო ბარათი უწესდება მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მთავარ სპეციალისტს რომან ტაბატაძეს, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიღებული იქნა გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე.

8. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მერვე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ წარადგინა კომისიის ანგარიში 2014 წლის 15 ივლისიდან 2015 წლის 15 ივლისამდე, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიღებული იქნა გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე.

9. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეცხრე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ბურნაძემ ბიუროს წევრებს გააცნო სოფელ ყიზილ-აჯლოში მცხოვრები ელხან ასკეროვის განცხადება, რომელიც ითხოვს მის საცხოვრებელ სახლს, რომელიც საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სარეგისტრაციო სამსახურში აღრიცხულია მონაცემებით საკადასტრო კოდი: N83.01.07.203, მიენიჭოს მისამართი: ყიზილ-აჯლოს ადმინისტრაციული ერთეული, სოფელი ყიზილ-აჯლო ჰუსეინ ჯავიდის ქუჩა N28ა, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიღებული იქნა გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე.

10. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეათე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ბურნაძემ ბიუროს წევრებს გააცნო მოქალაქე იაგუბ მუსაევის განცხადება, რომელიც ითხოვს მის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებას, რომელიც საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში აღრიცხულია მონაცემით საკადასტრო კოდი N83.02.23.842, მიენიჭოს მისამართი, ქალაქი მარნეული, ჟორდანიას ქუჩა, ჩიხი II, N11, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიღებული იქნა გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე.

11. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეთერთმეტე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ბურნაძემ ბიუროს წევრებს გააცნო მოქალაქე ნიზამი ნოვრუზოვის განცხადება, რომელიც ითხოვს მის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებას, რომელიც საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში აღრიცხულია მონაცემით საკადასტრო კოდი N83.02.21.436, მიენიჭოს მისამართი, ქალაქი მარნეული, საბირის ქუჩა N18ა, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიღებული იქნა გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე.

12. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეთორმეტე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ბურნაძემ ბიუროს წევრებს გააცნო ქალაქ მარნეულში, რუსთაველის ქუჩა N58-ში მცხოვრები ფარმაილ ალიევის განცხადება, რომელიც ითხოვს მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 18 ნოემბრის N259 განკარგულების, ასევე მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 8 იანვრის N08 ბრძანებისა და მოქალაქეებთან ლელა დეკანოიძესა და თამაზ მუმლაძესთან 2015 წლის 10 აინვარ დადებული ხელშეკრულების გაუქმებას. აღინიშნა, რომ განკარგულება მიღებულია ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" საქართველოს ორგანული კანონის 122-ე მუხლის მე-4 პუნქტისა და ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობის და მართვის უფლებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზაციო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის და ანგარიშსწორების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, დაცულია განკარგულების მიღების ყველა ის მოთხოვნა, რასაც ითვალისწინებს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, ხოლო მოქალაქე ფარმაილ ალიევის მიერ მოყვანილი არგუმენტაცია არასაკმარისია განკარგულების გასაუქმებლად,რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიღებული იქნა გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე.

13. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეცამეტე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ბურნაძემ ბიუროს წევრებს გააცნო კომისიის შემადგენლობაში შესატანი ცვლილების პროექტი, რაც გამოწვეულია იმით, რომ გიორგი სისვაძის ნაცვლად კომისიის

შემადგენლობაში შედის ნიზამი ვალიევი, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიღებული იქნა გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე.

14. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეთოთხმეტე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ბურნაძემ ბიუროს წევრებს წარუდგინა კომისიის ანგარიში 2014 წლის 15 ივლისიდან 2015 წლის 15 ივლისამდე, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიღებული იქნა გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე.

15. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეთხუთმეტე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ რაფიკ მუსაევმა ბიუროს წევრებს გააცნო იმ მოქალაქეების განცხადებები, რომლებიც საჭიროებენ სხვადასხვა სახის დახმარებებს და ვერ ჯდებიან მარნეულის მუნიციპალიტეტის სოციალური სამსახურისთვის დამტკიცებულ სოციალურ პროგრამაში, ასევე გააკეთა ინფორმაცია მარნეულის მუნიციპალიტეტის მიერ გაცემული საგარანტიო წერილებით აღებული ვალდებულების შესახებ და წარმოადგინა მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის დასკვნა, რომლის მიხედვითაც მარნეულის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ მოქალაქეებს გაეწიათ სხვადასხვა დახმარებები (ოპერაცია, მედიკამენტები, მკურნალობა, ერთჯერადი), რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიიღეს გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

16. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეთექვსმეტე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა ნინო ბერიძემ ბიუროს წევრებს გააცნო ინფორმაცია იმის შესახებ, რომ უქმდება მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 6 ივლისის N114 განკარგულება ხუტორლეჯბადინის დაზიანებული ხიდის გამარტივებული შესყიდვით აღდგენაზე,რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიღებული იქნა გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე.

დღის წესრიგის ამოწურვის შემდეგ მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსმა ტარიელ მუსაევმა ითხოვა თანხმობა, რათა საკრებულოს სხდომაზე განსახილველ საკითხთა ნუსხას დაემატოს შემდეგი საკითხები:

1. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსის 2015 წლის 31 ივლისის N1752-03 მოხსენებითი ბარათის განხილვის შესახებ.
2. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსის 2015 წლის 31 ივლისის N1750-03 მოხსენებითი ბარათის განხილვის შესახებ.
3. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსის 2015 წლის 29 ივლისის N1728-03 მოხსენებითი ბარათის განხილვის შესახებ.

აღნიშნული საკითხების დღის წესრიგში დამატებას საკრებულოს წევრები დაეთანხმნენ და კიდევ ერთხელ ითხოვეს, რათა საკრებულოს სხდომაზე განსახილველი საკითხები შემოტანილი იქნეს დებულებით განსაზღვრულ ვადებში.

მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომა გამოაცხადა დახურულად.

მარნეულის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარის
მოადგილე: ვალერი მეტრეველი